ს ს ი პ ბ ა თ უ მ ი ს შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

09 ნოემბერი, 2026 წ.

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/204

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის №133 დადგენილების (ახალარჩეული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება ცნობილი იქნა 14.11.2022 წ.-დან 4 წლის ვადით) „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 ოქტომბრის №01-02/203 ბრძანების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი დიასამიძის სამსახურებრივი ბარათებისა (MES 5 26 0001591222, 03.11.2026 და MES 7 26 000159932, 03.11.2026) და ბსუ–ს საარჩევნო კომისიის 2026 წლის 03 ნოემბრის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 ოქტომბრიდან 02 ნოემბრის ჩათვლით ჩატარებული არჩევნების შესახებ და ცნობილი იქნეს **2026 წლის 16 ნოემბრიდან 4 წლის ვადით არჩეული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება,** ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან არჩეული **10 წევრის** შემადგენლობით:

1.1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან - ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **რეზო მანველიძე**;

1.2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **დალი მახარაძე**;

1.3. ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **გივი აბაშიძე**;

1.4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ინგა დიასამიძე**;

1.5. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნარგული ასანიძე**;

1.6. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტიდან - ტურიზმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ცირა ცეცხლაძე**;

1.7. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**;

1.8. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან - ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მერაბ არძენაძე**;

1.9. ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან - ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ელზა ფუტკარაძე**;

1.10. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **გურამ მემარნე**.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ახალარჩეულ წევრებს, ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე აროშიძე**